

19

„ვითა“ — ახალი ჩემპიონი

...მატჩის დამთავრებამდე სამიოდ წამია დარჩენილი, კახა ბარამიძე ილებს ბურთს, უმიზნებს და ზუსტად ტყორცნის სამქულიანს. აქვე გაისმის მატჩის არბიტრის სასტვენის ხმა. დამთავრდა შეხვედრა და დასრულდა ჩემპიონატიც. „ვითა“ საქართველოს 1992-1993 წლების ჩემპიონია! პირველნი, ვინც გამარჯვებულებს მიულოცეს ჩემპიონობა, მეტოქე გუნდის „მერანის“ წევრები იყვნენ.

ამ შეხვედრამდე გუნდებმა, მოგეხსენებათ, ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, ასე რომ, დიდი ინტერესი სუპერფინალისადმი სავსებით ბუნებრივი იყო.

არავის ეეჭვებოდა, ფიცხელი ორთაბრძოლა რომ გაიმართებოდა. კალათბურთის სპეციალისტები პროგნოზებს მეტწილად თავს არიდებდნენ. სასიამოვნოა, რომ გულშემატკივრები ორივე გუნდს საკმაოდ ბევრი ჰყავდა. რამდენი ხანია, ამდენი მაყურებელი არც ერთ სპორტულ ასპარეზობაზე არ გვინახავს.

იხ. მე-4 გვ.



სურათებზე: 1992-93 წლების საქართველოს ჩემპიონი — „ვითას“ კალათბურთელთა გუნდი, დგანან — გია ბერუაშვილი, დუდუ დადიანი, მამია ტუღუში (მწვრთნელი ფიზმომზადებაში), შოთა უძილაური, ზურაბ ტომარაძე (მწვრთნელი), ბესიკ ლიპარტელიანი (უფროსი მწვრთნელი), თემურ დათიკაშვილი (კლუბის ერთ-ერთი მფლობელი), გოდერძი კორძაძე, ამროსი ორმოცაძე; სხედან — მიხეილ კობეშავიძე, თამაზ გიგაური, მალხაზ ანდღულაძე, ირაკლი ხომერიკი, ნიკო ჩერქეზიშვილი, ლევან გიგეშიძე, კახა ბარამიძე, ირაკლი მაისურაძე; სუპერფინალური შეხვედრების მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამბები ესპანეთიდან

სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში, რომელიც 22 აპრილს გაემგზავრა ესპანეთში ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. დაბინავდა მადრიდის სამხრეთით ქალაქ ტოლედოში და პირველი შეხვედრა გამართა საფეხბურთო კლუბ „ლოგრონიესთან“. ეს გუნდი საკმაოდ წარუმატებლად გამოდის ესპანეთის ეროვნულ ჩემპიონატში (უმაღლესი ჯგუფი). ბოლო, XXX ტურის შეხვედრა მან სტუმრად გამართა „სპორტინგთან“ და ფრედ — 1:1 ითამაშა. ამჟამად „ლოგრონიესი“ 20 გუნდში მეთვრამეტე ადგილზეა (5 მოგება, 10 ფრე, 15 წაგება).

პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენები აგებდნენ 0:1, მეორე ნახევარში შეცვლაზე გამოსულმა ნახევარმცველმა გიორგი ნემსაძემ გაქვითა ანგარიში და თამაში ფრედ — 1:1 დამთავრდა.

უფრო დაწვრილებით ნაკრების ესპანური ტურნეს შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ლელო

V – VIII

1 მაისი, შაბათი, 1993 წ.
№ 31 (10 819) ● ფასი 10 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„კახიაშვილის კომპლექსი“

„მისი წონითი კატეგორიის ძალოსნებს ამიერიდან უეჭველად გაუჩნდებათ „კახიაშვილის კომპლექსი“ — შეეცდებიან როგორმე თავი დააღწიონ დიდ ტურნირებში მასთან ბრძოლას. ვინც მოახერხებს, დაბალ ან უფრო მაღალ წონით კატეგორიებში გადაინაცვლებს“. — ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ ეს იწინასწარმეტყველა წარსულში გამოჩენილმა ძალოსანმა, ოლიმპიადაზე დსთ-ს გაერთიანებული გუნდის მწვრთნელმა ვასილ ალექსეევმა, როცა დარწმუნდა, რომ კახი კახიაშვილს „თავის წრეში“ (90 კგ წონით კატეგორიაში) მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა, კახიმ ხომ ოლიმპიადაზე თითქმის შეუძლებელი შეძლო: როცა სერგეი სივცოვი ყველას უკვე ჩემპიონი ეგონა, კახი ორჭიდის ჯამში გაუტოლდა მას (412,5 კგ მოაგროვა და ოლიმპიური რეკორდი გაიმეორა), იგი 250 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა მეტოქეზე და ოქროს მედალიც „წაართვა“.

— გამართლდა ალექსეევის სიტყვები — სოფიაში, ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 25 აპრილს დამთავრდა, კახისთან ბრძოლას „გაექცნენ“ პოლონელი სლავომირ ზავადა და რუსეთის გუნდის წევრი ვიაჩესლავ რუბინი — ორივე მაღალ წონაში გადავიდა. მათ ორჭიდში აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი — 405 კგ აჩვენეს. რუბინმა პირადი ნაკლები წონის წყალობით მოიპოვა ჩემპიონობა. — გვესაუბრება კახიაშვილის მწვრთნელი ივანე გრიქუროვი, რომელიც საქართველოს ოთხკაციან გუნდს ახლდა კონტინენტის ჩემპიონატზე. — სულაც არაა გამორიცხული, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სივცოვიც მაღალ წონაშიც გამოვიდეს — მას და გუნდის ხელმძღვანელობას ეს ბარსელონაში რომ მოეფიქრებინათ, იგი ვერცხლის კი არა, ოლიმპიური ოქროს მედლით დაბრუნდებოდა.

● **სოფიაში რა ქნა სივცოვმა?**

— იგი აზიაში ცხოვრობს, უზბეკეთში, ამიტომაც, ცხადია, ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებდა.

● **რას იტყოდით კახის ახლანდელ გამოსვლაზე?**

— ალექსეევი, რომელსაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა ოლიმპიადაზე კახიაშვილის გამარჯვება, მის შეფასებაში არ შემცდარა: კახი არა მარტო 91 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იყო უძლიერესი, არამედ ყველაზე მთელი თავით მაღლა იდგა: არც ერთ წონაში ჩემპიონს მეორე პრიზიორი ისე აშკარად არ დაუჯაბნია, როგორც ეს კახიაშვილმა შეძლო — მან ორჭიდში 402,5 კილოგრამით გაიმარჯვა. ეს ბარსელონაში ნაჩვენებ შედეგს 10 კგ-ით ჩამორჩება, მაგრამ ამჯერად 12,5 კილოგრამით მაინც ჩამოიტოვა ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი პოლონელი სერგიუშ ვოლოჟანიევსკი. ეს უკანასკნელი ბულგარელ ივან ჩაკიროვზე მსუბუქი აღმოჩნდა (ორჭიდში ორივე 390 კილოგრამზე შეჩერდა), ამიტომაც „ვერცხლი“ მას ხვდა წილად.

● **შეეძლო თუ არა კახის მეტის გაკეთება?**

— თუ გახსოვთ, კახიაშვილმა ოლიმპიადაზე პირველი მოძრაობა 177,5 კილოგრამით დაამთავრა, ახლა 180 კგ დაძლია. მეორე მოძრაობა მისი კოზირია, სწორედ მისი წყალობით „წაართვა“ სივცოვს ოლიმპიური ოქრო, როცა 235 კგ

იხ. მე-4 გვ.

თბილისის დინამოელთა უცვლელი კაპიტანი წლების მანძილზე — ოთარ ქორქია.

კალათბურთი, მხოლოდ კალათბურთი!

იხ. მე-2 გვ.

5 მაისს

გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია. სესია ჩატარდება რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში.

დასაწყისი 12 საათზე.

ვულოცავთ!

ლელოელები, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრები ვაქის — დავითის დაბადებას ვულოცავთ ჩვენს მეგობარს და კოლეგას ზურაბ ფოცხვერიას,

იზარდოს, იჯანმრთელოს, იდავითოს!

შტეფი გრაფთან თამაში ძნელია

ჰამბურგი. გერმანიის ამ ქალაქში მიმდინარეობს ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 375 ათას დოლარს შეადგენს. ასპარეზობაში მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან ერთად მონაწილეობს ჩვენი თანამემამულე ლეილა მესხი, რომელსაც ტურნირის მასპინძელთან, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთან შტეფი გრაფთან მოუხდა თამაში. ლეილამ ღირსეული მეტოქეობა ვერ გაუწია გერმანელს და დამარცხდა — 1:6, 2:6.

დიდი გაჭირვებით მიაღწია წარმატებას ესპანელმა არანტა სანჩეს-ვიკარიომ ნაკლებად ცნობილ ავსტრიელ შეიტა რაინმიადლერთან. პირველ პარტიაში ტაი-ბრეიკის დანიშვნაც კი გახდა საჭირო, რათა მოეგო ფავორიტს 7:6 (7:4). მეორეში კი სანჩესმა შედარებით იოლ გამარჯვებას მიაღწია — 6:3. ბულგარელმა კატარინა მალეევამ ორ პარტიაში აჯობა მის,ოლელ ელენე ბრეჟნიოვას — 6:3, 6:0.

ოთარ ქორქია — 70

კალათბურთი. მხოლოდ კალათბურთი!

მოქნილ, ღონიერ ჭაბუკს, რომელიც მართლაც სპორტისთვის იყო დაბადებული, ერთდროულად ოთხ სახეობაში „ექაჩებოდნენ“. მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი ბორის დიაჩკოვი დარწმუნებული იყო, რომ ოთარ ქორქია მტყორცნელად მოევლინა ამ ქვეყანას. აკი საქართველოს ჩემპიონიც გახდა ჭაბუკებში და ჭაბუკთა საკავშირო რეკორდებიც დაამყარა ბადროს ტყორცნაში. ბატონ ბორისს ამ ნიჭიერი ჭაბუკისგან, ეტყობა, „კაცების დუმბაძის“ გამოზრდა სურდა. მისი ძმა, ვლადიმერ დიაჩკოვი, ასევე სახელგანთქმული მწვრთნელი, რომელმაც შემდგომ თვით ვალერი ბრუმელი აღზარდა, ეთანხმებოდა თავის სახლიკაცს, რომ ქუთაისელი ჭაბუკი აუცილებლად მძლეოსანი უნდა გამხდარიყო, მხოლოდ „პატარა კორექტივით“ — უსათუოდ მხტომელი, სიგრძეზე ან სიმაღლეზე.

ძმები დიაჩკოვების მსგავსად, ჩვენს სპორტში კიდევ იყო ორი ძმა — ჩინებული სპორტსმენები და დაკვირვებული მწვრთნელები, ლეონიდი და ლევი. პირველი — საკავშირო ჩემპიონი კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში — თვლიდა, რომ ქორქია მხოლოდ და მხოლოდ ჭიდაობისთვის იყო გაჩენილი, მეორე ძეკონსკის — საკავშირო ჩემპიონს კალათბურთში — კი არაფრის გაგონება არ უნდოდა, გარდა თავისი საყვარელი სახეობისა: კალათბურთი. მხოლოდ კალათბურთი!

არ ვიცით, რამ განსაზღვრა ახალგაზრდა სპორტსმენის საბოლოო არჩევანი — იქნებ იმ ფაქტმა, რომ ოთარს მუდამ უყვარდა ამხანაგებში, ტოლ-მეგობრებში ტრიალი — ჰოდა, საეჭვო რა უნდა ყოფილიყო — მხოლოდ გუნდური თამაში, სადაც მუდამ გრძნობ პარტნიორის მხარს, თანაგუნდელების მხარდაჭერას: მაშ ასე — კალათბურთი!

...ჩვენს წინ ერთი ძველი ფოტოსურათი დევს, ოთარ ქორქიას საოჯახო ალბომიდანაა ამოღებული. სპორტის დიდი ენთუზიასტი, ქუთაისელი მწვრთნელი გივი კილაძე აღბეჭდილი მასზე თავის ნორჩ შეგირდებთან ერთად. პირველი, ბურთით ხელში, ყველაზე მაღალი, თვალებბრიალა ბიჭი დგას. ეს გუნდის კაპიტანი ოთარ ქორქიაა. მის გვერდით იური გოგოლაშვილია, შემდეგ — შოთა ქორქაშვილი, რომელიც ო. ქორქიასთან ერთად თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში გამოდიოდა წლების მანძილზე. ბოლოში დგანან ვახტანგ ლებანიძე და იონა აფრიდონიძე.

ვუმზერ ამ სურათს და უნებლიეთ თვალს ვავლებ ბურთიანი ბიჭუნას (სურათზე იგი მხოლოდ 13 წლისაა) დიდ სპორტულ გზას. საქმე ისაა, რომ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ოთარ ქორქიას 10 მაისს დაბადებიდან უკვე 70 წელი უსრულდება.

...ეგრეთ წოდებულ „სემეინი ბაღში“ ქუთათური ბიჭები იკრიბებოდნენ. იქვე ქალაქში ერთადერთი სპორტული დარბაზი იყო. მთელი დღე ეჯიბრებოდნენ ოთარი და მისი მეგობრები — შოთა ქორქაშვილი, ოთარ სულაბერიძე, იური გოგოლაშვილი და სხვანი ზუსტ ტყორცნაში. ყველაზე უკეთ ბურთს კალათში მომცრო ტანის შოთა ქორქაშვილი ისროდა.

— ამას ტყუილად ნუ ეჯიბრები, სულ ერთია წააგებ — აქეზებდნენ ბიჭები ტანმაღალ, გამხდარ ოთარ ქორქიას.

40-50-იანი წლების კალათბურთის სამი გრანდი — ოთარ ქორქია, ლიტველი სტიოპას ბუტაუტასი და ნოდარ ჯორჯიკია.

თავმოყვარეობას რა ვუთხარი, თორემ ოთარი თავიდან სულაც არ აპირებდა ქორქაშვილების ბიჭის რეკორდის მოხსნას. გვერდზე გადგა და... სახლში მისულმა ეზოში მდგარ ყველაზე მაღალ ხეს ძველი სკამის რგოლი მიამაგრა. ერთი. ორი, სამი... ხუთი, შვიდი, ათი! ბურთი ზედიზედ ეშვებოდა „გოდორში“ და რწმენას და ხალისს უორკეცებდა ოთარს. ბოლოს ქორქაშვილების „სნაიპერიც“ დაჯაბნა, რითაც დიდად გაიხარა. ბიჭებმა იგი გუნდის კაპიტნად აირჩიეს. მას შემდეგ ოთარ ქორქია მუდამ გუნდის თავი იყო, სადაც კი უნდა ეთამაშა — ქუთაისის „დინამოში“, თბილისის „დინამოში“, საკავშირო ნაკრებში.

ომის დამთავრების შემდეგ კაუნასში გაიმართა 8 ქალაქის მატჩი კალათბურთში, რომელშიც ქუთაისის გუნდიც გამოდიოდა. რიონისპირელებმა საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს, მომდევნო სეზონში კი გუნდის კაპიტანი ო. ქორქია თავის რამდენიმე მეგობარ კალათბურთელთან ერთად ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და „დინამოში“ დაიწყო თამაში. ჯერ შალვა დიასამიძე ავარჯიშებდა, მერე გიორგი ავალიშვილი. თბილისის დინამოელები მისი თავკაცობით სამჯერ გახდნენ საკავშირო ჩემპიონები (1950, 1953 და 1954 წლებში) და ამდენჯერვე მოიპოვეს (1949-1951) საკავშირო თასი. დინამოელთა ხუთეული: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა ქლენტი, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე და მათი პარტნიორები ტოლს არ უდებდნენ ნებისმიერ მეტოქეს.

10 წელი გამოდიოდა ო. ქორქია საკავშირო ნაკრებში, იყო მისი ნამდვილი ლიდერი და კაპიტანი. ამ ხნის განმავლობაში იგი სამჯერ (1947, 1951 და 1953 წლებში) გახდა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი (პრაღა, პარიზი, მოსკოვი), გაიმარჯვა 1949 და 1951 წლების სტუდენტთა სპორტულ თამაშებზე ბუდაპეშტსა და ბერლინში, მსოფლიო ფესტივალზე უნგრეთის დედაქალაქში (1953 წ.), იტალიის 1954 წლის საერთაშორისო ტურნირში — „მაირანოს თასის“ გათამაშებაში.

XV ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკში, საკავშირო ნაკრებში ორი თბილისის დინამოელი კალათბურთელიც გამოდიოდა — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია. მათ მშვენივრად ითამაშეს ბრაზილიის, ჩილეს, ურუგვაის გუნდების წინააღმდეგ და ფინალში იასპარეზეს კალათბურთის აღიარებულ ოსტატებთან — ამერიკელებთან, რომელთა გუნდში გამოდიოდნენ გიგანტები — რ. კურლანდი (2,13 მ), მ. ფრაიბერგერი (2,10) და კ. ლოველეტი (2,09). ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია და მათი პარტნიორები საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ ოკეანისგაღმელებს სიმაღლეში, მაგრამ ბოლომდე თავგამოდებით, შემართებით იბრძოდნენ. ამერიკელები დაწინაურდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქორქიას ხელი დაუშავდა. მეორე ტაიმში მაჯაშეხვეული კაპიტანი კვლავ გამოვიდა სათამაშოდ, საგრძნობლად შეამცირა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ დრო უკვე იწურებოდა. ო. ქორქია და ნ. ჯორჯიკია თბილისში ოლიმპიური ვერცხლის მედლებით დაგვიბრუნდნენ.

... ნათამაშებია უკანასკნელი მატჩიც. ოთარ ქორქია მწვრთნელი გახდა. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული კალათბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება — თბილისის „დინამოს“ მიერ ჟენევაში ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება. ცისფერმაისურიანების გუნდის უფროსი მწვრთნელი იმ დაუვიწყარ 1962 წელს 39 წლის ოთარ ქორქია იყო.

მართალია, ვეტერანი უკვე კარგა ხანია აღარ გამოდიოდა სათამაშოდ, მაგრამ კალათბურთის დიდ მოედნებზე მაინც ჰქუხდა ქორქიების გვარი — მისი ვაჟი ნოდარი და ძმისშვილი მიხეილი წლების მანძილზე წარმატებით იცავდნენ ოთარის მშობლიური კლუბის — თბილისის „დინამოს“ ღირსებას. და ის, რაც ვერ მოახერხა უფროსმა ქორქიამ, შეძლო მიხეილ ქორქიამ — ევროპის ჩემპიონობასთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა 1972 წლის XX თამაშებზე მიუნხენში.

ვინ იცის, იქნებ ეს ჩვენი 70 წლის იუბილარის ყველაზე დიდი სიხარულიც კი იყო!

ოთარ ნოზაძე

პირველი მსოფლიო ჩემპიონი

მატიანე

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან დავით ციმაკურიძე გახლავთ.

გივი კარტოზიაც პირველია მათ შორის, ვინც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და დასაბამი დაუდო საქართველოს სპორტსმენთა თვალსაჩინო გამარჯვებებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ციმაკურიძე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ღირსეული წარმომადგენელი იყო, კარტოზია — კლასიკური სტილისა, დღეს რომ ბერძნულ-რომაულს უწოდებენ. ისინი ქრონოლოგიურადაც დაახლოვებულნი იყვნენ ერთმანეთთან, უფრო ზუსტად, ციმაკურიძე სპორტულ კარიერას ამთავრებდა, კარტოზია რომ გამოჩნდა სარბიელზე. ამის მიუხედავად, ციმაკურიძემ თავისი ყველაზე დიდი გამარჯვება კარტოზიას პირველ წარმატებამდე მხოლოდ ერთი წლით ადრე იზეიმა. რას იზამ, დრო იყო ასეთი...

შარშან შესრულდა ორმოცი წელი, რაც დავით ციმაკურიძემ — პირველმა ქართველმა სპორტსმენმა (და არა როგორც მხოლოდ მოჭიდავემ) ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

იგივე შეიძლება ითქვას კარტოზიაზე, რომელიც ზუსტად 40 წლის წინ საქართველოს სპორტსმენთაგან პირველი გახდა მსოფლიო ჩემპიონი.



მეორედ მსოფლიოს ჩემპიონი გივი კარტოზია გახდა გერმანიის ქალაქ კარლსრუეში.

1953 წლის 17-19 აპრილი. ნეაპოლი. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი. საასპარეზოდ შეიკრიბა 21 ქვეყნის 100-ზე მეტი მოჭიდავე. სრული გუნდების გამოყვანა ამ ტურნირში მხოლოდ რვა ქვეყანამ შეძლო — საბჭოთა კავშირმა, უნგრეთმა, დასავლეთ გერმანიამ, იტალიამ, თურქეთმა, ფინეთმა, შვეციამ და იუგოსლავიამ. ეს იყო მაშინდელი საჭიდაო სამყაროს მთელი ელიტა, მისი მოწინავე რაზმი. საბჭოთა ათლეტებმა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ერთგვარი რევანში აიღეს და 41 ქულით გუნდური პირველობა მოიპოვეს (ხუთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი). მეორე ადგილი შვეციის მოჭიდავეებს ხვდათ (24 ქულა), მესამე — ფინეთის წარმომადგენლებს (20 ქულა).

ასაკის მიუხედავად, გივი კარტოზია ამ დროისთვის საკმაოდ ცნობილი მოჭიდავე იყო: ორჯერ ჰქონდა მოგებული საკავშირო ჩემპიონატი და ერთხელაც — სტუდენტთა მსოფლიო თამაშები (ბერლინში). ასე რომ, მისგან უმაღლეს ჯილდოს თუ არა, დამაჯერებელ გამოსვლას უეჭველად ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში საქართველოდან მხოლოდ ის იყო შეყვანილი, ეს, მაშინდელი გაგებით, დიდი ნდობა გახლდათ.

გივის, რა თქმა უნდა, ჰქონდა პრობლემები, რომელთა შორის უმთავრესი შვედების გუნდის ლიდერთან — აქსელ გრიონბერგთან ურთიერთობის გარკვევა იყო. შვედებს შემადგენლობაში ჰყავდათ ბევრი მაღალი კლასის მოჭიდავე, რომელთაც არც გამოცდილება აკლდათ, არც სახელი, არც ტიტულები. ყველაზე გამორჩეული მათ შორის, აქსელ გრიონბერგი, ორი ოლიმპიადისა და მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი იყო და, ბუნებრივია, საშუალო წონაში მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. შვედის პოზიციებს ამტკიცებდა ისიც, რომ ერთი წლით ადრე ბრწყინვალე სტილში მოიგო ჰელსინკის ოლიმპიური ტურნირი. მას შემდეგ კი არც ისე დიდი დრო იყო გასული — სულ რაღაც 8 თვე. თანაც, ოლიმპიადაზე გრიონბერგმა დაამარცხა საბჭოთა ნაკრების ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე ნიკოლოზ ბელოვი, რომელმაც, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, უსაფუძვლოდ მიიღო ადგილი ნაკრებში (ობიექტურად, ჰელსინკში უნდა წასულიყო კარტოზია, რომელიც იმ წელს გახდა საბჭოთა კავშირში უძლიერესი).

ერთი სიტყვით, შვედი იყო მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი, გივი კი „პერსპექტიული უცნობი“. თუმცა, ერთ რამეში კარტოზიას ჰქონდა ფორა — გრიონბერგი 1918 წელს იყო დაბადებული, გივი კი 1929 წელს. როგორც შემდგომში მოვლენათა მსვლელობამ ცხადყო, ეს უპირატესობა არცთუ უმნიშვნელო აღმოჩნდა.

კარტოზიამ ნეაპოლში სულ ხუთი შეხვედრა ჩაატარა, სამი — წმინდად მოიგო, ორი — ქულებით, რაც, ბუნებრივია, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა უმაღლესი ჯილდოს მოსაპოვებლად. პირველ წრეში მან ქულებით აჯობა უნგრელ ნემეტს, მერე წმინდად (2,30) მოუგო საარელ მასს, დასავლეთგერმანელ შტერს (3,10), თურქ ისმეთს (3,30) და ქულებით — გრიონბერგს.

განსაკუთრებით მძაფრი გამოდგა ბრძოლა თურქ მოჭიდავესთან, რომელსაც არამც და არამც არ სურდა ხელი მოეწერა კაპიტულაციისთვის და მას მერე, რაც ორივე ბეჭით ხალიჩაზე მიჯაჭვული აღმოჩნდა, ხელს არ უშვებდა კარტოზიას და ფეხზე არ დგებოდა. არბიტრმა ბარე ექვსჯერ აღნიშნა ბრძოლის დამთავრება, ბოლოს კი ისეთი ძალით ჩაჰბერა სასტვენს, რომ იქაურობა გააყრუა, თვითონ კი ლოყები დაუწითლდა.

გრიონბერგთან ფინალური ბრძოლა უფრო დიდოსტატურ ხასიათს ატარებდა. გამოცდილმა შვედმა თავიდანვე იგრძნო „პერსპექტიული უცნობის“ ძალა და მოვლენათა განვითარების მშვიდობიანი გეგმა აირჩია იმისვარაუდით, რომ ახალგაზრდა მეტოქეს ნერვები უმტყუნებდა, რამე უმნიშვნელო შეცდომას დაუშვებდა და სწორედ ამას გამოიყენებდა. ექვსი წუთის განმავლობაში მეტოქეებმა ვერაფერი მოხერხეს ერთმანეთს. სავალდებულო ჩოქბჯენში პირველი გრიონბერგი ჩადგა. კარტოზიამ ეფექტურად შეატრიალა შვედი და ხიდზე დააყენა. კრიტიკულ მომენტში, ბუნებრივია, წმინდა გამარჯვებას მოელოდა, მაგრამ გრიონბერგმა ხიდიდან გაქცევა მოახერხა. მერე გივი ჩადგა ჩოქბჯენში, მაგრამ მეტოქემ ძალა ვერ უყო ქართველ ათლეტს. დგომში ჭიდაობის ბოლო სამ წუთში გრიონბერგი ჩქარობდა, ერთხელ უხეშობაც იკადრა — ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სხვათა შორის, ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა დიდ სარბიელზე. 35 წლის გრიონბერგმა ნეაპოლში ვერცხლის მედალი მიიღო და სამუდამოდ დატოვა სარბიელი. კარტოზიამ კი... კარტოზიამ მას შემდეგ არაერთი [illegible] გამარჯვება მოიპოვა და სამართლიანად დაიმკვიდრა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავის სახელი მსოფლიოში.

ასე ხვდებოდნენ გულშემატკივრები უცხოეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გივი კარტოზიას.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



უმაღლესი ჯგუფი. 28 აპრილი

XXVII ტური

„ბათუმი" (ბათუმი) — „იბერია" (ხაშური) 4:0. მსაჯები: ე. ხილაგავა, რ. ვერულაშვილი, ზ. დარჩია (სამივე — თბილისი). გოლები: ხომერიკი — 3, კანტიძე.

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „გურია" (ლანჩხუთი) 3:1.

XX ტურის გამოტოვებული შეხვედრა.

„ოდიში" (ზუგდიდი) — „სამტრედია" (სამტრედია) 2:1. შეხვედრა გაიმართა ქუთაისში.

* * *

მინიფეხბურთი

„ვაკე"—პირველი ჩემპიონი

თბილისის სპორტკომპლექსის „იმედის" სარბიელზე დასრულდა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი მინიფეხბურთში. გადამწყვეტი ეტაპის ბოლო ორი ტურის შემდეგ (IV ტური. „ვაკე" — „ერქვანი" 5:3, „ვესტა"—„ორნატი" 7:5. V ტური. „ქორები"—„ორნატი" 6:3, „ვესტა"—„ერქვანი" 4:4) გაირკვა მათი ვინაობა, ვისაც საპრიზო ადგილებისთვის უნდა ებრძოლა. ფინალში თამაში განაღდებული ჰქონდა „ვაკეს", მეორე საგზურისთვის კი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ „ვესტა" და „ერქვანი". ეს საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 4:4. ანგარიში აკმაყოფილებდა „ვესტას" ფეხბურთელებს, ისინი ფინალში გავიდნენ. მესამე ადგილი გაითამაშეს „ქორების" და „ერქვანის" გუნდებმა.

„ქორები"—„ერქვანი" 7:5. გოლები: მდინარაძე (2), ჭავჭანიძე (2), აფხაზავა (2), კურცხალია („ქორები); ფანცულაია (4), დადვანი („ერქვანი").

„ერქვანს" [illegible] და სამი წამყვანი ფეხბურთელი — გეგეშიძე, ყორღანაშვილი და ხურცილავა.

„ქორები"—„ერქვანი" 7:3. გოლები: მდინარაძე (5), ჭავჭანიძე (2), („ქორები"); ფანცულაია (2), შალამბერიძე („ერქვანი").

მოსალოდნელი იყო, რომ „ერქვანის" ფეხბურთელები რევანშს აიღებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — „ქორებმა" ხელმეორედაც გაიმარჯვა და მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

სუპერფინალი. 26 აპრილი.

„ვესტა"—„ვაკე" 5:3. გოლები: სარჯველაძე (3), ალექსიძე (2), („ვესტა"); დურგლიშვილი, ქავთარაძე, დვალიშვილი („ვაკე").

სუპერფინალი. 28 აპრილი.

„ვაკე"—„ვესტა" 8:4. გოლები: ნატროშვილი (6), მახარობლიძე, სამადაშვილი („ვაკე"), ბერიშვილი, ჯანგავაძე, სარჯველაძე, იმნაძე („ვესტა").

თამაში „ვაკის" უპირატესობით დაიწყო, ვაკელებმა დასაწყისშივე 3 გოლი გაიტანეს. ამას მოჰყვა „ვესტას" საპასუხო იერიშები და ანგარიშიც გათანაბრდა — 3:3. გადამწყვეტ მომენტში „ვაკის" ფეხბურთელები გააქტიურდნენ, 5 გოლი გაიტანეს, თავის კარში კი მხოლოდ ერთი მიიღეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

სუპერფინალი. 29 აპრილი.

„ვაკე"—„ვესტა" 5:2. გოლები სამადაშვილი (3), ნატროშვილი, გულიაშვილი („ვაკე"); ბერიაშვილი, იმნაძე („ვესტა").

მესამე, გადამწყვეტი მატჩიც „ვაკის" უპირატესობით წარიმართა, სუპერფინალური სერია ვაკელთა გამარჯვებით დასრულდა და პირველი ჩემპიონის წოდებაც მათ მოიპოვეს. მეორე ადგილზეა „ვესტა", მესამეზე — „ქორები".

ტურნირის ბოლოს გამოვლინდნენ ცალკეული პრიზების მფლობელნი, რომლებიც დააწესა ამ ტურნირის სპონსორმა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტფილისმა" (პრეზიდენტი რამაზ დურგლიშვილი). ბომბარდირის პრიზი (42 გოლი) გადაეცა სოსო მდინარაძეს („ქორები"), საუკეთესო თავდამსხმელისა — ირაკლი თარგამაძეს (წითელხევის „იმედი"), საუკეთესო მოთამაშისა — გოდერძი ნატროშვილს („ვაკე"), საუკეთესო მცველისა — გია ჯანგავაძეს („ვესტა"). საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს ზაზა ნატროშვილი („ვესტა"), ყველაზე ჯენტლმენი მოთამაშეა ირაკლი ქავთარაძე („ვაკე").

ირაკლი ხუციშვილი.

„ანცი": სერიოზულობაც ასეთი უნდა!

პროლოგი

ორი კვირის წინ გამოვაქვეყნეთ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფის გათამაშების ცხრილები. მკითხველს უთუოდ თვალში ეცემოდა, თუ რა დიდი უპირატესობით ლიდერობდა აღმოსავლეთ ზონაში თბილისის „ანცი". ცხადი იყო, მისი დამწევი ვერავინ იქნებოდა, თუმცა ჰაბუკიანის „ჰაბუკიანს", თბილისის „იმედს" და დედოფლისწყაროს „შირაქს", იმ შემთხვევაში, თუ „ანცი" წარუმატებლად ჩაატარებდა დარჩენილ 7 შეხვედრას, კიდევ რჩებოდათ რაღაც იმედები. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის თეორია იყო, ამიტომ გადავწყვიტე ვწვეოდი თბილისელთა გუნდს, მიმელოცა პირველი ჯგუფის საგზურის მოპოვება და მასალაც მომემზადებინა გაზეთისთვის. იმ დღეს ხელი მომეცარა, გუნდის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენი შეხვედრა სამერმისოდ გადაიდო.

25 აპრილს თბილისელებმა XXVII ტურის გასვლითი შეხვედრა მოიგეს საგარეჯოში და პრაქტიკულად გაინაღდეს პირველი ადგილი, თუმცა გათამაშების დამთავრებამდე კიდევ 4 ტურია დარჩენილი.

22 შეხვედრა, 20 მოგება, 2 ფრე და არც ერთი წაგება, ბურთების შეფარდება 94-10 (!) — ასეთია ჯერჯერობით „ანცის" მონაგარი. მართლაც რომ დამაჯერებელი შედეგია! ახლა კი ჩვენს შეხვედრას წინ არაფერი დაუდგებოდა.

* * *

საფეხბურთო კლუბი „ანცი" (თბილისი) შეიქმნა 1990 წლის 4 აგვისტოს.

პრეზიდენტი — მიხეილ კიკალიშვილი

ვიცე-პრეზიდენტები — ზურაბ და მერაბ კიკალიშვილები

მთავარი მწვრთნელი — მერაბ კოჭლაშვილი

ტექნიკური დირექტორი — ირაკლი გორგოშიძე

მწვრთნელი — გიორგი კიკნაძე

მენეჯერი — გიორგი ლაბაური

ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს ატარებს „ავლაბრის" სტადიონზე.

პრეზიდენტი

მიხეილ კიკალიშვილი, მრავალდარგოვანი კორპორაცია „მ. კ"-ს პრეზიდენტი, 42 წლის: ბავშვობიდანვე ფანატიკურად მიყვარდა ფეხბურთი. რამდენიმე ხანს ვითამაშე კიდეც „დინამოს" მოსამზადებელ ჯგუფში გრიგოლ გაგუასთან. მიზეზთა გამო დიდ ფეხბურთს ჩამოვშორდი, მაგრამ ყოველთვის მქონდა მოთხოვნილება, რაიმე სასიკეთო მეკეთებინა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

იტალიის XIV მსოფლიო ჩემპიონატს ნეაპოლში ვუყურე. ამ ქალაქის საფეხბურთო მეურნეობის განვითარების დონემ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ მილიონნახევრიან ქალაქში იმდენი კეთილმოწყობილი საფეხბურთო ბაზა, მინდორი და ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ხალხი ვნახე, რომ კეთილი შურით ალვივსე. იქიდან ჩამოსული ინტერესით ვადევნებდი თვალს ჩვენში გამართულ მძაფრ დისკუსიას ეროვნული ჩემპიონატის გამართვის თაობაზე. უზომოდ გავიხარე, როდესაც 1990 წლის 15 თებერვლის დაუვიწყარ საღამოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე სელმა აზრმა გასჭრა და ეს საკითხი სასიკეთოდ გადაწყდა. ამით საშუალება მიეცათ თავი გამოეჩინათ არამარტო „დინამოს", „ტორპედოს" და „გურიას". იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ამ კლუბების მიღმა დარჩნენ და, ფაქტიურად, ფეხბურთისთვის დაკარგულებად ითვლებოდნენ, კვლავ მიეცათ შესაძლებლობა დაბრუნებოდნენ საყვარელ საქმეს.

საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის თბილისშიც, მრავალი საფეხბურთო კლუბი შეიქმნა. თურმე რა ბევრს შეძლებია კარგი ფეხბურთის თამაში!

ყოველივე ამან სერიოზულად ჩამაფიქრა და გამიჩნდა იდეა საფეხბურთო კლუბის შექმნის თაობაზე. იმხანად კონცერნ „სოფლმშენის" ფირმა „ელევატორმშენის" მმართველი ვიყავი. ჩემი ჩანაფიქრი თანამშრომლებს გავანდე, მათ ეს იდეა აიტაცეს და ყველანაირად მხარში ამომიდგნენ. და არა მარტო ისინი: ჩემი ძმებიც — ზურაბი და მერაბი.

1990 წლის 4 აგვისტოს საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელ კრებაზე დაიბადა მისი სახელწოდებაც — „ანცი". ერთი თვის შემდეგ კი უკვე ეროვნული ჩემპიონატის ზონალურ პირველობაში ჩავებით, დამაჯერებლად მოვიგეთ (14 თამაში, 11 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება) და მეორე ჯგუფის საგზური მოვიპოვეთ. წელს, როგორც იცით, მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში გავინაწილეთ პირველი ადგილი და მეხუთე ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ჯგუფში ვიასპარეზებთ.

რა გეგმებს ვისახავთ? ჯგუფში ყოველგვარი საადაპტაციო პერიოდის გავლის გარეშე ვიბრძოლოთ უმაღლესი ჯგუფის საგზურის მოსაპოვებლად. ზოგს შეიძლება ზედმეტად ოპტიმისტურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მიზანი ჩვენს მიერ შემუშავებული ხუთწლიანი გეგმითაა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, ჩვენ განზრახული გვაქვს ევროტურნირებში მივიღოთ მონაწილეობა, ამიტომ კლუბში საფუძვლიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სასწავლო-საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს.

რა თქმა უნდა, კლუბის მეპატრონეები, ყველანაირ ფინანსურ, საყოფაცხოვრებო პირობებს ვუქმნით მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და სანაცვლოდ მოვითხოვთ საქმისადმი კეთილსინდისიერ, პროფესიულ დამოკიდებულებას.

მინდა წამოვჭრა ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც „დინამოს" გარდა ყველა საფეხბურთო კლუბს აწუხებს. ეს არის აღდგენითი-სარეაბილიტაციო ცენტრის უქონლობა, ამის გარეშე კი უმაღლესი შედეგების მიღწევაზე ფიქრი გულუბრყვილობა იქნებოდა. ამას წინათ მოვინახულე „პარი სენ-ჟერმენისა" და „ბარსელონას" სპორტული ბაზები, რის შედეგადაც დამებადა იდეა — შევთავაზო თბილისისა და სხვა ქალაქების საფეხბურთო კლუბებს, წილობრივი მონაწილეობით (თანახმანი ვართ ხარჯების 50% ჩვენ გავიღოთ) დედაქალაქში ავაშენოთ საერთო აღდგენითი-სარეაბილიტაციო ცენტრი (დასასვენებელი კორპუსი, საუნა, ჰიდრო-მასაჟი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი ტრენაჟორებით, სასადილო). სამშენებლო სამუშაოების ჩატარება შეიძლება იტვირთოს ჩვენმა კორპორაციამ.

ბოლოს, გვინდა ვაუწყოთ გულშემატკივრებს, რომ ერთ თვეში ვაპირებთ მოვაწყოთ ოთხთა ტურნირი, სადაც „ანცის" გარდა მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ჯგუფის ორი გუნდი და ერევნის „არარატი". განზრახული გვაქვს ეს ტურნირი ტრადიციული გავხადოთ და შემდგომში მოვიწვიოთ ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდებიც.

ვიცე-პრეზიდენტები

ზურაბ კიკალიშვილი: მე და ჩემი ძმა მერაბი კლუბში ვართ მისი დაარსების დღიდან. მერაბი კლუბის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას განაგებს, ჩემი მოვალეობა კი სასელექციო მუშაობა, „დაზვერვა", ახალი ფეხბურთელების მოწვევაა. კლუბში ფეხბურთის სიყვარულმა მომიყვანა. ვთამაშობდი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში ვაჟა ჟვანიას, გოჩა ჯოხაძის, ილია რუხაძის, ტარიელ დურღლიძის გვერდით. სამწუხაროდ, მძიმე ტრავმა მივიღე და ველარ გავაგრძელე საფეხბურთო კარიერა. როდესაც „ნათესაურ გარემოში" კლუბის შექმნის იდეა მომწიფდა, გადავწყვიტეთ გუნდის სათავეში, მთავარ მწვრთნელად, ჩვენი ბიძაშვილი მერაბი ჩაგვეყენებინა. მასაც უთამაშია ფეხბურთი და თანაც მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. ეს გამოცდა მან ღირსეულად ჩააბარა და ზონალურ პირველობაზე გუნდმა მისი ხელმძღვანელობით პირველი ადგილი დაიკავა.

ზურაბ, მიხეილ და მერაბ კიკალიშვილები

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მწვრთნელები

მერაბ კოდალაშვილი (წლების მანძილზე იცავდა გორის „დილასა" და „ქართლის" ღირსებას, წვრთნიდა თბილისის „დიღომს", „იმედს", გორის „დილას", თბილისის „მრეტებს". „ანცში" წელს იანვრიდან მიიწვიეს): პირველ ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემამდე აქ მომუშავე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს (იგი ამჟამად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ავარჯიშებს). მან საკმაოდ მეგობრული, შეკრული, საკუთარი ხელწერის მქონე კოლექტივი გადმომცა. ამჟამად გუნდში ამ ხელწერის დახვეწა, სრულყოფა მიმდინარეობს. ვეტერანების გვერდით საკმაოდ სწრაფად ოსტატდებიან ახალგაზრდა ფეხბურთელები.

„ანცის" სათამაშო კონცეფციაა ეროვნული საფეხბურთო ტრადიციების — მაღალი ტექნიკა, იმპროვიზაცია — შერწყმა მოწინავე ევროპულ ფეხბურთთან — ფიზიკური გამძლეობა, სათანადო ტაქტიკური მომზადება, მაღალი სათამაშო დისციპლინა, უნივერსალიზმი. ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული სათამაშო სქემის მიხედვით შევარჩიო საჭირო ფეხბურთელები, ამას კი, სამწუხაროდ, ბევრი ჩემი კოლეგა მოკლებულია. გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაში ძალიან მეხმარება ირაკლი გორგოშიძე, რომელიც განთქმულია ამ სფეროში. ყველანაირად მხარში მიდგანან მეორე მწვრთნელი გიორგი კიკნაძე და მენეჯერი გიორგი ლაბაური.

ლეგიონერი

რიმას მაჟეიკასი (დაიბადა 1964 წელს, 1983-89 წლებში იცავდა ვილნიუსის „ჟალგირისის" ღირსებას, 1990-91 წლებში თამაშობდა ლანჩხუთის „გურიაში", „ანცშია" 1991 წლის შემოდგომიდან, ლიტვის ეროვნული ნაკრების წევრი, ჰობი — მუსიკა, იდეალი ფეხბურთში — მარიუს ტრეზორი): „ანცში" კარგი პირობები შემიქმნეს: ქალაქის ცენტრში დამიქირავეს ბინა, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობ, მაძლევენ ნორმალურ გასამრჯელოს, ურთიერთობაც ყველასთან მეგობრული მაქვს. გუნდში ვასრულებ ეგრეთ წოდებული საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს, ვფიქრობ, „ანცი" ამჟამად პოტენციურად არ ჩამოუვარდება უმაღლესი ჯგუფის გუნდებს.

რაც შეეხება ლიტვის ნაკრებს, გუნდის ინტერესების გათვალისწინებით, ძირითადად დაცვაში ვთამაშობ. მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის მესამე შესარჩევ ჯგუფში გამოდის ესპანეთის, დანიის, ირლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ლატვიის და ალბანეთის გუნდებთან ერთად. ჩვენი დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე უიღბლო გამოდგა — დღეისთვის პრაქტიკულად დავკარგეთ შანსი მოვიპოვოთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური საგზური: დღემდე ვითამაშეთ 7 თამაში — 2 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, 7 ქულით მეოთხე ადგილზე ვიმყოფებით. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გამოცდილება მივიღეთ. მჯერა შემდგომი ცდა უფრო ნაყოფიერი იქნება (ბოლო მატჩი ლიტვის ნაკრებმა 14 აპრილს შინ ჩაატარა ალბანეთის ნაკრებთან და გაიმარჯვა — 3:1. ამ შეხვედრაში რიმასი მარცხენა მცველის ადგილზე მოგვევლინა. 16 აპრილს კი იგი უკვე წნორში ახლდა „ანცს" მორიგ კალენდარულ მატჩზე. საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებაც ამას ჰქვია. — ჯ. ჭ.).

ეპილოგი

როგორც ხედავთ, თბილისში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ძლიერი საფეხბურთო კლუბი, სადაც საქმე საკმაოდ მყარ პროფესიულ დონეზე დგას. ამაში, რასაკვირველია, ლომის წილი ბატონ მიხეილ კიკალიშვილს ეკუთვნის. ღმერთმა ნუ გამოულიოს ქართულ ფეხბურთს ამგვარი მეცენატები!

ვფიქრობთ, ძალზე საყურადღებოა ბატონი მიხეილის წინადადება თბილისში აღდგენითი-სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის თაობაზე. იმედია, საფეხბურთო კლუბების მესვეურები გამოეხმაურებიან ამ იდეას.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ „ანცს" პირველი ჯგუფის ბინადრობა და წარმატებები ვუსურვოთ შორს მიმავალი გეგმების აღსრულებაში.

ჯემალ ჭიკაშვილი,
„ლელოს" საფეხბურთო მიმომხილველი.

* * *

მსოფლიო ჩემპიონატი

ევროპის ზონა

შესარჩევი ციკლი

28 აპრილს გაიმართა მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ევროპის ზონაში.

I ჯგუფი

პორტუგალია — შოტლანდია 5:0

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	6	4	2	0	15-5	10
შვეიცარია	5	3	2	0	15-4	8
პორტუგალია	5	2	2	1	8-4	6
შოტლანდია	5	1	2	2	4-8	4
ესტონეთი	3	0	1	2	0-8	1
მალტა	6	0	1	5	2-15	1

II ჯგუფი

ინგლისი — ჰოლანდია 2:2

ნორვეგია — თურქეთი 3:1

პოლონეთი — სან-მარინო 1:0

ნორვეგია	5	4	1	0	18-3	9
ინგლისი	5	3	2	0	15-3	8
ჰოლანდია	6	3	2	1	17-8	8
პოლონეთი	3	2	1	0	4-2	5
თურქეთი	7	1	0	6	7-17	2
სან-მარინო	6	0	0	6	1-29	0

III ჯგუფი

ირლანდია — დანია 1:1

ესპანეთი — ჩრ.ირლანდია 3:1

ესპანეთი	8	4	3	1	16—2	11
დანია	7	3	4	0	5—1	10
ირლანდია	6	3	3	0	10—1	9
ჩრ. ირლანდია	7	2	2	3	8—10	6
ლიტვა	7	2	3	2	8—11	7
ლატვია	8	0	4	4	3—15	4
ალბანეთი	7	1	1	5	4—10	3

IV ჯგუფი

ჩეხეთ-სლოვაკეთი — უელსი 1:1

ბელგია	7	6	0	1	12-3	12
რუმინეთი	6	4	1	1	19-5	9
უელსი	6	3	1	2	11-8	7
ჩეხეთ-სლოვ.	5	1	3	1	8-5	5
კვიპროსი	7	1	1	5	4-11	3
ფარ. კუნძ.	5	0	0	5	0-22	0

V ჯგუფი

რუსეთი — უნგრეთი 3:0

საბერძნეთი	5	4	1	0	5-0	9
რუსეთი	4	4	0	0	10-0	8
უნგრეთი	5	1	1	3	4-6	3
ისლანდია	4	1	0	3	2-4	2
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0-11	0

VI ჯგუფი

საფრანგეთი — შვეცია 2:1

ბულგარეთი — ფინეთი 2:0

საფრანგეთი	6	5	0	1	11-4	10
ბულგარეთი	5	4	0	1	9-2	8
შვეცია	4	3	0	1	7-3	6
ავსტრია	3	1	0	2	5-5	2
ფინეთი	4	0	0	4	1-8	0
ისრაელი	4	0	0	4	0-14	0

„ვითა"—ახალი ჩემპიონი

(დასასრული)

პირველ შეხვედრაში ანგარიში „ვითამ" გახსნა და მეოთხე წუთზე უკვე 10:0 იგებდა. „მერანის" მოთამაშეები ზედმეტად ღელავდნენ, თითქოს ჩქარობდნენ კიდეც, თანაც არც სროლები წაუვიდათ. პირველი ქულის მოპოვება მხოლოდ მე-6 წუთზე შეძლეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ „მერანის" ცენტრალური თავდამსხმელის ალექსანდრე ფერიაშვილის ტრავმაც გახლდათ, რომელიც შეხვეული ხელით თამაშობდა. ამასთან, პირველ ტაიმში პაატა გურასპაულმა ფეხი დაიზიანა და, ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო. ეს კი გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო. „მერანი" უბრძოლველად არ აპირებდა მატჩის დათმობას. ტაიმის მე-13 წუთიდან საკმაოდ აქტიურად ათამაშდნენ დაცვაში ხელაშვილი და კოკოლიშვილი, თავდასხმაში — თორთლაძე, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც „ვითამ" მოიგო—44:37. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე შეხვედრაში მიხეილ კობეშავიძისა და ამროსი ორმოცაძის კარგი თამაში. „ვითამ" არც მეორე ნახევარში დათმო უპირატესობა და საბოლოოდ გაიმარჯვა.

განმეორებით შეხვედრის დაწყებამდე გაირკვა, რომ მოედანზე ვერ გამოვიდოდა გურასპაული, საეჭვო იყო ფერიაშვილის თამაშიც, თუმცა დებიუტი მაინც მოულოდნელი გამოდგა — დაწინაურდა „მერანი". მაგრამ მე-8 წუთისთვის „ვითამ" შეძლო ანგარიშის გათანაბრებაც და წინ გასვლაც, ტაიმი კი 18 ქულის სხვაობით მოიგო — 50:32. მეორე ტაიმში, მიუხედავად „მერანის" მცდელობისა, ანგარიში მხოლოდ შემცირდა და საბოლოო გამარჯვება „ვითას" დარჩა, გუნდს, რომელმაც სტაბილურად ჩაატარა გათამაშება და დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საქართველოს ჩემპიონატისთვის დამახასიათებელ სენს — მსაჯებთან გაუთავებელ კამათს, ლანძღვა-გინებას. ამისგან არც ეს სუპერფინალური შეხვედრები ყოფილა დაზღვეული. არც ზოგიერთი მაყურებელი იქცეოდა სანიმუშოდ — მოედანზე ისროდა სხვადასხვა საგნებს... გვითქვია და კვლავაც გავიმეორებთ — ამგვარი საქციელი არ ეკადრება ეროვნულ ჩემპიონატს. ვფიქრობთ იმაზეც, რომ მალე საერთაშორისო მატჩებში სხვადასხვა ქვეყნის გუნდების მასპინძლობა მოგვიწევს და ელემენტარული წესრიგი მაინც ვისწავლოთ.

* * *

„ვითა" (თბილისი) — „მერანი" (თბილისი) 83:75 (44:37)

თბილისის სპორტის სასახლე. 27 აპრილი.

„ვითა": ზარამიძე, ბერუაშვილი (9), კობეშავიძე (27), ჩერქეზიშვილი (21), კორძაძე (2), დადიანი (15), ორმოცაძე (9).

„მერანი": ხელაშვილი (19), გურასპაული (2), ტალახაძე (1), აბულაშვილი (1), ქორქია (5), თორთლაძე (22), ფერიაშვილი (1), შავლოხაშვილი (6), კოკოლიშვილი (11), ახვლედიანი (7).

მსაჯები: მურმან ქურიძე და გიორგი ავალიშვილი.

• • •

„ვითა" — „მერანი" 83:75 (50:32)

თბილისის სპორტის სასახლე. 28 აპრილი.

„ვითა": ზარამიძე (11), ბერუაშვილი (13), კობეშავიძე (19), ჩერქეზიშვილი (12), კორძაძე (11), ანდღულაძე, დადიანი (11), ორმოცაძე (6).

„მერანი": ხელაშვილი (10), ტალახაძე (27), ქორქია (10), თორთლაძე (15), შავლოხაშვილი (4), კოკოლიშვილი (6), ახვლედიანი (3).

მსაჯები მურმან ქურიძე და როლანდ გელოვანი.

გია ბურდული

ჟურნალისტთა გამოკითხვით სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დასახელებულ თბილისის დინამოელ შალვა ცხვედიანს გაზეთ „დრონის" მიერ დაწესებულ საგანგებო პრიზს გადასცემს ამ გაზეთის სპორტული მიმომხილველი მერაბ რატიშვილი.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. ქალები. თბილისი. მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

23 აპრილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „მართვე" (თბილისი) 96:54, „ფალავანი" (თბილისი) — გორი 77:64, „ტანდემი" (თბილისი) — „მეობა" (ქუთაისი) 55:61.

24 აპრილი. „მართვე" — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 28:118, გორი — თსუ 56:109, „მეობა" — „ფალავანი" 60:72.

25 აპრილი. „ტანდემი" — „მართვე" 64:46, „ფალავანი" — სტუ 57:100, „მეობა" — გორი 64:54.

26 აპრილი. სტუ — „ტანდემი" 77:28, „მართვე" — „მეობა" 34:78, თსუ — „ფალავანი" 93:46.

28 აპრილი. „ტანდემი" — თსუ 53 : 84, გორი — „მართვე" 54 : 31, სტუ — „მეობა" 96 : 33.

29 აპრილი. „ფალავანი" — „ტანდემი" 82 : 54, სტუ — გორი 94 : 42, თსუ — „მეობა" 79 : 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან მოსეშვილი

ღვაწლმოსილი პედაგოგი და ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოში ქალთა სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი და ტანვარჯიშის პოპულარიზატორი — ქალბატონ ქეთევან მოსეშვილის ცხოვრების გზა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ქართული სპორტის ისტორიასთან. მისმა გარდაცვალებამ არაერთი თაობის სპორტსმენები, მთლიანად რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დაამწუხრა.

ქ. მოსეშვილი დაიბადა ქუთაისში 1904 წელს. იქვე დაამთავრა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. გიორგი და თამარ ნიკოლაძეების, არჩილ ბაქრაძის, დათა ჯავრიშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით ქუთაისში შევარდენელთა საჩვენებელმა გამოსვლებმა მრავალ ახალგაზრდას გაუღვიძა ტანვარჯიშის ცხოველი ინტერესი. მათ შორის იყო ნორჩი ქეთო მოსეშვილიც. ასე დაიწყო მისი მოღვაწეობა „შევარდენში", სადაც შემდგომ ქალთა განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. იგი აქტიური მონაწილე გახლდათ ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით ბათუმში, ფოთში, სენაკში, ხონსა და სხვა ქალაქებში „შევარდენის" გამოსვლებისა. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ქალბატონ ქეთევანს არ შეუწყვეტია საყვარელი საქმიანობა. თბილისის ქალთა მე-6, შემდგომ 51-ე საშუალო სკოლაში ათეულობით წელი იღვწოდა პედაგოგიურ სარბიელზე და არაერთი თაობა აზიარა სპორტის სიყვარულს, ტანვარჯიშის სილამაზეს და სიკეთეს.

ქეთევან მოსეშვილის, კეთილშობილი პიროვნების, ჩინებული პედაგოგის და აღმზრდელის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების გულში.

სპორტის ვეტერანთა საბჭო

„კახიაშვილის კომპლექსი"

(დასასრული)

დაიმორჩილა. ჩაკიროვმა სოფიაში 210 კილოგრამით დაამთავრა შეჯიბრება, ვოლოჟანიევსკიმ ბარსელონის შედეგი (220 კგ) გაიმეორა, კახის 222,5 ჰყოფნიდა, თუმცა ეს, მოგეხსენებათ, 12,5 კილოგრამით ჩამორჩება მის მიერ ბარსელონაში გამეორებულ მაშინდელ მსოფლიო რეკორდს.

● **რატომ მაშინდელს?**

— ბარსელონის შემდეგ ძალოსნობაში თავისებური რევოლუცია მოხდა — საერთაშორისო ფედერაციამ ახალი წონითი კატეგორიები შემოიღო, ამიტომაც ყველა ძველი რეკორდი ისტორიის საკუთრება გახდა — დაიწყო ახალ მიღწევათა აღრიცხვა. სოფიაში ყველა წონით კატეგორიაში, ყველა მოძრაობაში, ორჭიდის ჯამშიც ნაჩვენები საუკეთესო შედეგები კონტინენტის რეკორდებია. მამასადამე, კახი სამი ევროპული (და ამდენივე საქართველოს) რეკორდის ავტორი გახდა. ერთი სიტყვით, კახიაშვილმა სოფიაში 3 ოქროს — ორჭიდში, აკვრასა და ატაცში — მედალი დაიმსახურა.

● **საქართველოს გუნდის სხვა სამმა წევრმა თუ გაამართლა ნდობა?**

— კახიაშვილის წონაში ზუგდიდელმა მუხრან გოგიამ VII ადგილი დაიკავა, 83-ში ამბროლაურელმა ბიძინა მიქიაშვილმა (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, ახლა ორივეს შოთა წერეთელი ავარჯიშებს)—XV. ზემძიმეში საჩხერელმა კობა ტალახაძემაც (მწვრთნელი გიორგი თოდაძე) მოგვცა ჩათვლა და 26 კოლექტივს შორის ჩვენმა ოთხკაციანმა „ნაკრებმა" (სრულ გუნდში 10 წონითი კატეგორიის ძალოსანია) 79 ქულით XIII ადგილი დაიკავა. ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა საფრანგეთის გუნდს, რომელსაც სწორედ კახიაშვილის ოქროს მედლით ვაჯობეთ. შეიძლებოდა, ერთი-ორი ადგილითაც წავვეწია წინ, ტალახაძე ავად რომ არ გაგვხდომოდა, ამის გამო მან სრული დატვირთვით ვერ ისპარეზა, მაგრამ იმდენი მაინც იღვაწა, რომ ჩათვლები მიიღო, სამივე „ახალწვეული" ქების ღირსია. კარგის მეტი რა მეთქმის მიქიაშვილზე — მას ორი წელია არ უვარჯიშია, ხუთი თვის წინ დაუბრუნდა ფიცარნაგს და მისთვის პირველ დიდ შეჯიბრებაში გამოსვლაც დაიმსახურა. ბევრს ველი ახალგაზრდა გოგიასგან.

კახი კახიაშვილი და მისი მწვრთნელი ივანე გრიქუროვი „ლელოს" რედაქციაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

● **გული თუ გწყდებათ რამეზე?**

— წვრთნის სათანადო პირობები რომ იყოს, შეიძლებოდა საქართველოშიც შეგვექმნა სრული გუნდი. რამდენიმე წელია გაყინულ დარბაზებში ვმუშაობთ. კიდევ კარგი, სოფიაში წასვლამდე შედარებით რიგიანი პირობები შეგვიქმნეს თბილისის „ლოკომოტივის" დარბაზში. გულსატკენია, რომ ცხინვალიდან ლტოლვილი ოლიმპიური და ევროპის ორგზის ჩემპიონი კახი კახიაშვილი და მისი მწვრთნელი თბილისში დღემდე უბინაოდ არიან — მერიაში, ეს საქმე, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოგვარდა. არადა, კახის საპასუხისმგებლო სტარტები ელის. მსოფლიო თასის ეტაპები, თვით მსოფლიო ჩემპიონატი... უბინაობა აშკარად დაასვამს დაღს მის ვარჯიშს, კახისგან კი ატლანტის ოლიმპიადიდანაც ოქროს ველით.

● **როგორ გესახებათ ჩვენი ძალოსნობის მომავალი?**

— რესპუბლიკური ფედერაცია, მისი მწვრთნელთა საბჭო კარგი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. სრულწლიური ნორმალური წვრთნის პირობებში 3-4 წელიწადში შეიქმნებოდა გუნდი, რომელიც ევროპის პირველობაზე ათეულიდან არ გამოვიდოდა. მჯერა, მიქიაშვილი, გოგია, ტალახაძე, რომლებისთვის სოფიის სტარტი პირველი სერიოზული საერთაშორისო შეჯიბრება იყო, კონტინენტის მორიგ ჩემპიონატზე კახიაშვილს უკეთეს თანადგომას გაუწევენ. მათ სხვებიც ამოუდგებიან მხარში.

ო. იედოშვილი.

მხოლოდ ხუთმა

მოჭადრაკემ გაიარა უდანაკარგოდ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობის მესამედი. არადა, თბილისის ჭადრაკის სასახლეში ბრძოლაში ჩაება 58 სპორტსმენი. ისინი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად არკვევენ იმ საგზურების ბედს, რომლებიც ფინალურ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლებას იძლევა. ლიდერთა შორის მყოფმა რუსთაველმა ზურაბ იგრიაშვილმა, რომელსაც 20 წლამდე მოჭადრაკეთა ინდოეთის მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლა „ემუქრება", ერთიმეორის მიყოლებით მოუგო თბილისელებს ლელა თანდაშვილს (ტურნირში რამდენიმე ქალიც მონაწილეობს), ამირან ჩხაიძეს და თანაქალაქელ თამაზ გელაშვილს. ქუთაისელმა თემურ მასხარაშვილმა დაამარცხა ლანჩხუთელი რუსუდან ჰკუასელი, თბილისელი ნიკა ხეჩიკაშვილი და ოჩამჩირელი ლევან ლექავა. თბილისელმა ბექა კვარაცხელიამ ქულები „წაართვა" თბილისელ არტემ თეიმურაზიანს, დუშელ რუზველტ მარცვალაშვილს და ქუთაისელ ალექსი ქასრაშვილს, კახა შალამბერიძემ (თბილისი) კი ჯერ კოლუმბიელი ალეხსანდრო პაბონს (თბილისში სწავლობს) აჯობა, მერე რუსთაველ დათო ტიკურიშვილს და ქუთაისელ შოთა კუჭუხიძეს. ლიდერთა ჯგუფის მეხუთე წევრია ბათუმელი ფილიქს მელქონიანი, რომელმაც მოუგო თბილისელებს თამარ ფაჩულიას, მიშა მჭედლიშვილს და ალექსი არსენიძეს.

გუშინ, მეხუთე ტურში, ლიდერები ერთმანეთს ხვდებოდნენ.

ავიაკატასტროფა

საშინელი ავიაკატასტროფა მოხდა ატლანტის ოკეანეზე, გაბონის სანაპიროსთან ზამბიის ფეხბურთელთა ნაკრები თვითმფრინავით სენეგალს მიემგზავრებოდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად, მაგრამ მოხდა ავიაკატასტროფა, დაიღუპა ზამბიის ეროვნული ნაკრების 18 ფეხბურთელი, გუნდის ხუთი ოფიციალური წარმომადგენელი და თვითმფრინავის ეკიპაჟი.

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
თამაზ მიგრიაული

აღმოსავლური და სხვა სპორტული ორთაბრძოლების მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა საყურადღებოდ

საქართველოს ტაილანდური კრივის ასოციაცია „ათლეტი" 1993 წლის მაისიდან, ყოველ პარასკევს, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში ღია რინგზე ჩაატარებს კომერციულ ორთაბრძოლებს ტაილანდურ კრივში.

საპრიზო ფონდშია სოლიდური თანხა. პროგრამაშია გასართობი შოუ-კონცერტი და სხვა ღონისძიებანი. იმუშავებს ტოტალიზატორი.

სპორტსმენთა ჩაწერა იწარმოებს წინასწარ. შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ასოციაციაში.

მისამართი

სიღნაღის რ-ნი, საქობო. საქართველოს ტაილანდური კრივის ასოციაცია „ათლეტი" ტელ. 3-33-67.

[illegible] 380096, [illegible] კოსტავას, 14. [illegible] 93-62-14. [illegible] INDEX [illegible]